ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N94

ქ. თბილისი 17 დეკემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აპარატის უფროსის **ზურაბ მებონიას** სახით და მეორე მხრივ, **შპს "ოფისჯგუფი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი კლარჯეიშვილის** სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების** საგანი

ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) **"საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია"-ს (CPV კოდი: 39800000), „პირადი ჰიგიენის საშუალებები"-ს (CPV კოდი: 33700000) , „პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის" (CPV კოდი: 19640000) „სხვადასხვა ქსოვილის ნივთები"-ს (CPV კოდი: 39525000), „ცოცხები და ჯაგრისები და სხვა სხვადასხვა ტიპის ნივთები" -ს (CPV კოდი: 39224000)** შესყიდვა ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **854.06 (რვაას ორმოცდათოთხმეტი ლარი და 06 თეთრი)** ლარს.

2.2 შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს **- იხ. დანართი N1.**

2.3 შესასყიდი საქონლის რაოდენობა **- იხ. დანართი N1.**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული დოკუმენტების გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას #16.

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 24 დეკემბრამდე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი: დ. ჟვანია.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისამებრ განახორციელოს საქონლის მიწოდება. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	შპს "ოფისჯგუფი"
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #16	მის: ქ. თბილისი, პეკინის # 34
საიდენტიფიკაციო კოდი 249250484	საიდენტიფიკაციო კოდი 405287693
სახელმწიფო ხაზინა	სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ნ # GE71TB7470936080100006
ტელ: 2374416	ტელ: 557 058787, 557 058989
---	---
აპარატის უფროსი	დირექტორი
ზურაბ მებონიოა	გიორგი კლარჯეიშვილი

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2019.12.17 10:23:17 +04'00'

დანართი N 1

CPV კოდი	CPV დასახელება		საზომი ერთეული	რ-ბა	ერთეულის ფასი	თანხა
19640000	პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის	ნაგვის პარკი 120 ლ 10 ც სქელი (0132)	შეკვრა	32	3.00	96.00
19640000	პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის	ნაგვის პარკი 35ლ 100ც (0120)	შეკვრა	50	5.50	275.00
39224330	სათლები/ვედროები	ვედრო რკინის	ცალი	3	5.00	15.00
39224100	ცოცხები	ცოცხი ქართული	ცალი	1	6.00	6.00
39224100	ცოცხები	ვიეტნამური ცოცხი	ცალი	1	8.50	8.50
39831300	იატაკის საწმენდები	იატაკის საწმენდი მოპი (26017)	ცალი	1	15.00	15.00
39831300	იატაკის საწმენდები	იორკი - ევრო მოპის სათადარიგო მიკროფიბრის ნაჭი "სალსა" (818)	ცალი	4	7.05	28.20
39831300	იატაკის საწმენდები	იორკი -მოპი ტელესკოპური ჯოხით (675)	ცალი	1	10.50	10.50
39224200	ჯაგრისები	საწმენდი ჯაგრისი მაღალი ტარით Centi-1195	ცალი	1	5.94	5.94
33711900	საპონი	თხევადი საპონი 400მლ.(ანტიბაქტერიული)	ცალი	2	3.50	7.00
33711900	საპონი	თხევადი საპონი LOREMS 20ლ	ცალი	2	38.50	77.00
33761000	ტუალეტის ქაღალდი	ტ/ქ Selpak 3 ფენა (32ც შეფუთვაში)	შეკვრა	1	27.97	27.97
39525100	მტვრის საწმენდი ტილოები	მიკროფიბრის ნაკრები 1 ცალიანი 35*35 (7099)	ცალი	10	1.30	13.00
39525100	მტვრის საწმენდი ტილოები	სამზარეულოს (შუშის) საწმენდი მიკროფიბრი 40X40 (კლეტკიანი)	ცალი	12	1.85	22.20
39831300	იატაკის საწმენდები	Pronto-ხის და ლამინირებული იატაკის საწმენდი საშუალება 750მლ.	ცალი	25	5.75	143.75
39831600	ტუალეტის საწმენდები	KALYON მილების საწმენდი მჟავა	ცალი	10	2.30	23.00
39831600	ტუალეტის საწმენდები	ქლორი ace 5 ლიტრიანი	ცალი	10	8.00	80.00
						854.06